საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, გორგასლის ქ.№36 (ს.კ. 01.18.09.005.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მომიჯნავედ განთავსებული შენობების (ს.კ 01.18.09.005.029), (ს.კ 01.18.09.005.010) მდგრადობის თაობაზე.

ქ. თბილისში, გორგასლის ქ.№36-ში (ს.კ. 01.18.09.005.005) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი შედგება 2 ნაწილობრივ მიწისქვეშა და 8 მიწისზედა სართულისაგან.

სამშენებლო უბანი ხასიათდება შემდეგი ფიზიკურ-მექნიკური მახასიათებლებით:

1. სეისმურობა - 8 ბალი

2. ქარის დატვირთვა 50 კგძ/მ^2

3. თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 70 კგძ/მ^2

საძირკვლის ფუძედ საძირკვლის მონოლითური ფილისათვის მიღებულია ს.გ.ე II, ფენა №3 – თიხა ყავისფერი, ნახევრად მყარი, მცირედი რაოდენობის მტვროვანი ფრაქცია, საშუალოდ კარბონატული, საანგარიშო წინაღობით Ro=2.7 კგძ/კვ.სმ

საძირკვლის ფუძედ ბუღღვით-ნატენი ხიმინჯებისათვის მიღებულია ს.გ.ე V, ფენა №6 – გამოფიტული არგილიტების და ქვიშაქვების მორიგეობა, საანგარიშო წინაღობით ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc=60.21 კგძ/კვ.სმ

საძირკვლის კონსტრუქციას წარმოადგენს საძირკვლის რკინაბეტონის მონოლითური ფილის H=0.8 მ. და 1.0 მ. დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ერთობლიობა.

სარდაფის კედლები - მონოლითური რკინაბეტონის სისქით 20 და 25 სმ.

შენობის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს რკინაბეტონის მონოლითური კარკასი, მონოლითური სვეტები (190X30, 109X40, 40X30, 40X40, 40X90, 40X80, 40X70, 40X60, 40X50, 20X80, 20X60, 20X40, 20X20) სმ, მონოლითური რიგელები - (40X50, 30X50, 20X50, 40X85) სმ,

მონოლითური დიაფრაგმები სისქით 20 და 25 სმ.

გადახურვის რკინაბეტონის მონოლითური ფილა (H=20 და 18 სმ).

კიბეები - რკინაბეტონის მონოლითური.

საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება შემდეგი საკადასტრო ერთეულები :

(ს.კ 01.18.09.005.029), რომელზეც განთავსებულია 1 სართულიანი, უსარდაფო შენობა სხვენით, რომლის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს აგურის მზიდი კედლები, საძირკვლის კონსტრუქციად გამოყენებულია მონოლითური ლენტური საძირკვლები.

(ს.კ 01.18.09.005.010), რომელზეც განთავსებულია 3 სართულიანი, უსარდაფო შენობა სხვენით, რომლის მზიდ კონსტრუქციას წარმოადგენს აგურის მზიდი კედლები, საძირკვლის კონსტრუქციად გამოყენებულია მონოლითური ლენტური საძირკვლები.

მომიჯნავედ განთავსებული შენობების და საპროექტო შენობის ქვაბულის ფერდის მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით გათვალისწინებულია 0.6 მ. დიამეტრის ბურღვით-ნატენი ხიმინჯების ფარდა.

ქვაბულის ფერდის დამჭერი ხიმინჯების და შენობის კონსტრუქციული გაანგარიშება შესრულებულია გამოთვილითი კომპლექს : "Lira sapr 2022" -ის საშუალებით, რომელიც ეფუძნება სასრულ ელემენტთა მეთოდს და რეალიზებულია გადაადგილებებში.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე შეგვიძლია ვთქვათ, საპროექტო შენობის ქვაბულის ფერდის და მომიჯნავედ განთავსებული შენობების მდგრადობა, როგორც თეორიულად ისევე პრაქტიკულად ცალსახად უზრუნველყოფილია.

საკონსტრუქტორო განყოფილების

მთავარი სპეციალისტი გ. რეხვიაშვილი

12.10.2023 წ